ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N28

15.03.2019
12:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 15 მარტს, 12:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), დავით რურუა (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მაოდგილე მაია ბითაძე, მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი ალექსანდრე ტოგონიძე, ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო"-ს წარმომადგენელი, დაინტერესებული პირები, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 5 (ხუთი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა - გიორგი ჩაკვეტაძე

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (12-031906554-03; 06.03.2019) (მომხსენებელი - მაია ბითაძე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე)

სხდომა წარიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, გარემოს დაცვის, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო, სატრანსპორტო საკითხთა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის და სარევიზიო კომისიებთან ერთად.

კომისიების გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე რევაზ სოხაძე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

მაია ხუთაძე - მიმდინარე წლის 12 მარტის საკრებულოს კომისიების გაერთიანებული სხდომაზე განვიხილეთ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, წარმოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები გადამუშავებულია და გათვალისწინებულია პროექტში. გენერალური გეგმის ამოქმედებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია კ2-კოეფიციენტის მატების შეზღუდვის ფაქტორი. პრაქტიკულად დასრულებულია მუშაობა გენერალური გეგმის პროექტზე და მასში შესაბამ ცვლილებებზე, რამაც უნდა უზრუნველყოს აღნიშნული დოკუმენტის სწორი ფუნქციონირება და აღსრულება. ხაზგასასმელი გარემოებაა ის, რომ შინაარსით, მასშტაბით და კონცეპტუალური ნაწილით თბილისის გენერალური გეგმა ათი წლის მანძილზე უზრუნველყოფს ქალაქის სწორ და თანაზომიერ განვითარებას. აუცილებელია გამოვყოთ გენერალური გეგმის სამი მნიშვნელოვანი კონცეპტუალური მიმართულება - მწვანე, შეკავშირებული და კომპაქტური ქალაქი, რომლებიც თავისი შეკავშირებით და ზონალური რეკრეაციით განსხვავდება „ქ. თბილისის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის" 2009 წლის 05 ივნისის N6-17 პროექტისაგან და რეკრეაციული ტერიტორიების მოცულობას ზრდის ოთხ ნახევარი მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტით, სამშენებლოდან არასამშენებლო ზონებში გადატანილი მიწის ფართობი კი ექვს მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტით იზრდება, რაც თვალნათლივ აღნიშნავს, თუ რაოდენ ორიენტირებულია თბილისის გენერალური გეგმა მწვანე და რეკრეაციული ქალაქის კონცეფციების რეალიზებაზე. მწვანე ქალაქის კონცეფციით იდენტიფიცირებულია ის არეალები სადაც საქალაქო პარკები უნდა შეიქმნას, ასეთი პროექტი მუნიციპალიტეტმა უკვე დაიწყო დიღმის ჭალებსა და თემქის ხევში, რომელთა ფართობის ჯამი 27 ათასს ჰექტარ სრულიად ახალ საპარკო სივრცეს მოიცავს. მწვანე ქალაქის კონცეფციის ნაწილად მოიაზრება ასევე ქალაქის გარშემო გაუნაშენიანებელი ტერიტორიები, რომელთა დაცვის გამკაცრებული რეგულირება ემატება რეკრეაციულ ნაწილს. მნიშვნელოვანია ის, რომ 2%-დან 46%-მდე გაიზარდა სატყეო ზონების ფართობი, რაც იდენტიფიცირებულია ტყის ინვენტარიზაციის მასალებში, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტმა განახორციელა, პირველად საბჭოთა კავშირის პერიოდის შემდეგ. რაც შეეხება შეკავშირებულ ქალაქს, ის თავის თავში გულისხმობს განაშენიანების კონტურის დადგენას, როგორც ქალაქისათვის ასევე შემოერთებული სოფლების ტერიტორიისათვის. რუკაზე მკაფიოდაა დატანილი ისტორიულ-კულტურული ზონები, რაც ასევე წინ გადადგმული ნაბიჯია. აღნიშნული კომპონენტი ითვალისწინებს ასევე ტრანსპორტის სამარშრუტო სქემების განსაზღვრას, კავშირებს როგორც მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროსთან, ასევე ქალაქის განაშენიანებულ და გაუნაშენიანებელ ტერიტორიებს შორის. თბილისს უკვე აქვს თემატური რუკა, სადაც ასახულია, როგორც უფლებრივი ზონირება, ასევე რეკრეაციული ზონები, საქალაქო პარკები და ყველა შიდა საუბნო გამწვანება. მუნიციპალიტეტის მიდგომით ყველა უბანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა შეინარჩუნოს და გააშენოს მწვანე სივრცეები და რეკრეაცული არეალები ისე, რომ მოქალაქეს ბუნებასთან სიახლოვის დეფიციტი საცხოვრებელ ადგილებზე არ ქონდეს. ამასთანავე სახელმწიფო მაქსიმალურად დაიცავს კერძო მესაკუთრეთა უფლებებს, როგორც უკვე დამტკიცებულ ინდივიდუალურ განაშენიანების რეგულირების გეგმებს, მაგრამ აქაც არის კომპონენტები სადაც პრინციპული პოზიციები ექნება მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს და საჭიროების შემთხვევაში მოხდება ტერიტორიის გაცვლა, ან ტერიტორიის დათმობისათვის ფულადი ანაზღაურება. რაც შეეხება კომპაქტური

ქალაქის კომპონენტს, ეს მჭიდროდაა დაკავშირებული მწვანე და შეკავშირებული ქალაქის კონცეფციებთან. აღნიშნული ბიბართულების ინტესივობის კომპონენტით იკრძალება ცენტრალურ და შუალედურ ზონებში, ინდივიდუალურ ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში რეკრეაციულ ზონებში მშენებლობა და სხვა სახის მოქმედებები კონკრეტული ლოკაციებზე, რაც შეცვლა აკარიული სახლების და დაყვსრულებული მშენებლობების პრობლემას, აღნიშნულთან მიმართებით ერთიანი კანონმდებლობა ცენტრალური მოაერობის დონეზე მუშაედება, რაშიც მუნიციპალიტეტი ყოველდღიურ რეჟიმშია ჩაროული ამასთან ერთად, გენერალურ გეგმაში გათვალისწინებულია ყოფილი სამრეწველო/კომერციული ტერიტორიების (სრაუსფილდები) კონვერსია. პროექტი ითვალისწინებს ქალაქის არსებული ურბანული სტრუქტურის, თბილისის ინდივიდუალობის, მისი ისტორიული, კულტურული და ბუნებრივი ფასეულობების, მრავალფეროვნებისა და იდენტობის დაცვასა და წარმოჩენას. კომპაქტურობის პრინციპის ფარგლებში უპირატესობა მიენიჭება განაშენიანებული ტერიტორიების განახლებას.

დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ათწლიანი ვადით მტკიცდება, სპეციალური ზონალური შეთანხმებები ორწლიანი, სამწლიანი და ხუთწლიანი ვადებით განისაზღვრება. წარმოდგენილ პროექტში დასაშვებია გარკვეული ტიპის ცდომილებების არსებობა, მიუხედავად შენიშვნებისა და წინადადებებისა, რომელიც სამი წლის განმავლობაში მუშავდებოდა, ეს ცოცხალი პროცესია და ეტაპობრივად გამოსწორდება ყველა ხარვეზი. რაც მთავარია დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურმა გეგმამ გადააწყო თბილისი კარკასისა და ზონების მიხედვით, ზუსტად განსაზღვრა ფუნქციური ზონები განვითარების და რეკრეაციების კუთხით, ფუნქციურ ზონებთან მიმართებით დასაშვებია ცვლილებები სივრცითი კანონმდებლობიდან გამომდინარე რომელიც საქართველო პარლამენტში მუშავდება. რაც შეეხება რუკაზე ტექნიკურ ცდომილებებს, ტერიტორიებს რომლებსაც არ ადევს შებამისი ფუნქციური ზონები, ასეთებია-მულტიფუნქციური სპორტული ცენტრების მშენებლობისთვის არსებული ტერიტორია ვარკეთილსა და დიდ დიღომში, დიღმის ტყე-პარკის ტერიტორია, და ბოტანიკურ ბაღის მიმართებაში არსებული უზუსტობები განაპირობა ელექტრონული ფაილების ხარვეზით ატვირთვამ, რაც უახლოეს პერიოდში ჩასწორდება, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ასახულია 700-მდე სარევიზიო ინდივიდუალური განაშენიანების რეგულირების გეგმა (გრგ), სრულფასოვნად არაა ასახული კომპანია ,,ბიოლის" ტერიტორიის მიმდებარე ზონები, რაც განპირობებულია ელექტრონული ხარვეზიდან გამომდინარე, აღნიშნული ექვემდებარება ჩასწორებას, ამისათვის ვითხოვთ საკრებულოს მხარდაჭერას.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

გაერთიანებული კომისიის სხდომაზე აზრი გამოთქვეს:

ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ გამოთქვა წინადადებები რუკაზე ფუნქიური ზონის ტექნიკურ ცვლილებებთან დაკავშირებით, ასევე იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ დადგენილების პროექტის ტექსტური ნაწილის ხარვეზებთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ავთანდილ ცინცაძე, დავით ჭელიძე, დავით რურუა, შალვა ოგბაიძე - (5), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0)).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად მხარი დაუჭირა:

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტში ტექნიკური ცვლილებების და ხარვეზების ასახვით საკითხის გატანას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე